


საქართველოს სოფლის მეურნეობა 2015 წლის IV კვარტალი (წინასწარი მონაცემები)


წინასწარი მონაცემებით, 2015 წლის IV კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 1 318 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3.1 პროცენტით აღემატება. აქედან ფურის სულადობამ 667 ათასი შეადგინა. ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 3.4 პროცენტით გაიზარდა და 951 ათას სულს მიაღწია. ღორის სულადობა 211 ათასი სული იყო, რაც 3.2 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. 2015 წლის IV კვარტალის ბოლოსათვის ფრინველის რაოდენობამ 8 738 ათასი ფრთა შეადგინა, რაც 20.2 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე ფრინველის რაოდენობა 2007-2015 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2007-2015 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)




* წინასწარი მონაცემები.

ცხვრისა და თხის სულადობა 2007-2015 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)




* წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2007-2015 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.


ფრინველის სულადობა 2007-2015 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის (ათასი ფრთა)



* წინასწარი მონაცემები.


წინასწარი მონაცემებით, 2015 წლის IV კვარტალში რძის წარმოებამ 125.1 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 0.7 პროცენტით მეტია; ხორცის წარმოებამ 19.0 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 6.9 პროცენტით ნაკლებია; ხოლო კვერცხის წარმოებამ 131.5 მილიონი ცალი და წინა წლის მაჩვენებელზე 8.7 პროცენტით ნაკლები შეადგინა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2007-2015 წლების IV კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2007-2015 წლების IV კვარტალში (მლნ. ლიტრი)




* წინასწარი მონაცემები.

ხორცის წარმოება 2007-2015 წლების IV კვარტალში (დაკლული წონა, ათასი ტონა)



* წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2007-2015 წლების IV კვარტალში (მლნ. ცალი)



* წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2014-2015 წლების მაჩვენებლები პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვის სულადობა 2014-2015 წლებში კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2014				2015*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1,370.9	1,374.9	1,336.5	1,278.0	1,422.2	1,443.2	1,378.1	1,318.0
მათ შორის ფური და ფურკამეჩი	647.6	661.4	655.1	665.2	659.3	661.5	650.4	667.1
ღორი	206.7	230.9	265.2	204.8	237.3	268.1	327.5	211.3
ცხვარი და თხა	1,145.5	1,135.3	985.9	919.6	1,233.3	1,231.5	1,068.5	950.5
ფრინველი (ათასი ფრთა)	7,303.0	11,978.4	9,764.7	7,272.6	8,135.2	13,054.0	10,629.7	8,738.2

* წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2014-2015 წლებში

	2014				2015*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
ხორცი (დაკლული წონა, ათასი ტონა)	12.1	11.1	11.2	20.4	9.7	11.2	11.4	19.0
რძე (მლნ. ლიტრი)	106.8	232.7	192.5	124.2	114.4	233.5	190.6	125.1
კვერცხი (მლნ. ცალი)	127.2	151.1	127.1	144.0	144.3	151.3	138.8	131.5

* წინასწარი მონაცემები.

2015 წლის დაზუსტებული მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2016 წლის 16 ივნისს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა).